

ანაბარზე რიცხული საბჭოთა მანეთის თანხის ანაზღაურება

**საქართველოს უზენაესი სასამართლო**  
**გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა**  
**საქართველოს სახელით**

№ 3გ/ად-106/144კ

21 მარტი, 2002 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა  
შემადგენლობა:

ბადრი მეტრეველი (თავმჯდომარე),  
ვალერი ხრუსტალი,  
მერაბ ტურავა,  
ბესიკ კობერიძე,  
ნანა კლარჯეიშვილი (მომხსენებელი),  
ნუგზარ სხირტლაძე,  
ბეჟან ხიმშიაშვილი,  
როზა ნადირიანი,  
მიხეილ გოგიშვილი

**სხდომის მდივანი – თ. შუშიაშვილი**

**კასატორი (მოსარჩელე):**

1. რ. შ., წარმომადგენელი ადვოკატი ლ. ს.

2. ე. გ., წარმომადგენელი ადვოკატი ლ. ჩ.

**მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე):**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, წარმომადგენელი – ი. დ., ა. ა.

2. საქართველოს პრეზიდენტი, წარმომადგენელი - გ. ჯ.

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება** – თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 16 მაისისა და 20 ივლისის გადაწყვეტილებები.

**დავის საგანი** – შემნახველი სალაროს ანაბრის წიგნაკებზე რიცხული საბჭოთა მანეთის თანხის ანაზღაურება.

## აღწერილობითი ნაწილი:

პირველმა კასატორმა – რ. შ.-მა 1999 წლის 1 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სს „გ.ბ.“ საბურთალოს №7 ფილიალის მიმართ სარჩელი აღძრა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში, რომლითაც მოითხოვა 1986 წლიდან მისი და აწ გარდაცვლილი მეუღლის გ. ც.-ის მიერ შემნახველი სალაროს წიგნაკზე შეტანილი 226 029 მანეთის შესაბამისი თანხის 365 000 დოლარის იძულებითი წესით დაბრუნება (ს.ფ. 2-9).

მოპასუხე სს „გ.ბ.“ ფილიალმა სარჩელი არ ცნო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 1993 წლის №575 დადგენილების, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის №363, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის №716 ბრძანებულების, ასევე „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის საფუძველზე. მოპასუხემ მიუთითა, რომ შემნახველი სალაროს ანგარიშზე რიცხული ყველა თანხა და მათ შორის მოსარჩელის ანაბარიც გადაანგარიშებული იქნა დადგენილი წესით და ანაზღაურებაც მოხდებოდა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად. ამასთან, მოპასუხემ აღნიშნა, რომ იგი არასათანადო მოპასუხეა და სათანადო მოპასუხედ ჩართული უნდა ყოფილიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (ს.ფ. 16-18). 1999 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე მოსარჩელემ თავად დააყენა შუამდგომლობა სს „გ. ბ.“-ის არასათანადო მოპასუხედ ცნობის შესახებ, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ (ს.ფ. 55).

მეორე მოპასუხემ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომაც არ ცნო სარჩელი და აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფომ იკისრა მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი ანაბრების ნაწილობრივი კომპენსაცია, რაც ეტაპობრივად ხორცილდება კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ყოველწლიურ ბიუჯეტში გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, პირველი ჯგუფის ინვალიდებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რეგისტრაციის დასაცემად (ს.ფ. 48-49).

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2000 წლის 28 მარტის განჩინებით რ. შ.-ის საქმე განსჯადობით გადასცა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას (ს.ფ. 95-96). თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიამ სს „გ. ბ.“-ის 2000 წლის 28 აპრილის №4-1-1-5-117/825 წერილის საფუძველზე დადგენილად ცნო, რომ მოსარჩელე რ. შ.-ის სახელზე სს „გ. ბ.“-ის №7 ფილიალში გახსნილ ანგარიშზე ირიცხებოდა ანაბრის ნაშთი და გასაცემი ინდექსაციის შემდეგი თანხა:

1. ანგარიშის №08247, გახსნილია 1990 წლიდან – 15287 მან, ინდექსაციის თანხა - 122,82 ლარი;

2. ანგარიში №051633, გახსნილია 1991 წლიდან -5417 მან. ინდექსაციის თანხა - 82,89 ლარი;

3. ანგარიში № 0573544 – გახსნილია 1991 წლიდან – 28632 მან, ინდექსაციის თანხა – 144,48 ლარი,

4. ანგარიში №8619 – გახსნილია 1980 წლიდან – 28238 მან, ინდექსაციის თანხა – 221,50 ლარი;

5. ანგარიში №31380 – გახსნილია 1991 წლიდან – 56967 მან, ინდექსაციის თანხა – 347, 70 ლარი;

6. ანგარიში №0575866 -გახსნილია 1991 წლიდან – ინდექსაციის თანხა 167,04 ლარი.

სულ რ. შ.-ის ანგარიშზე რიცხული თანხის - 226029 საბჭოთა მანეთის - ინდექსირებულმა თანხამ სს „გ. ბ.“-ის 2000 წლის 28 აპრილის №4-1-1-5-117/825 წერილის საფუძველზე შეადგინა 1 086 ლარი, 43 თეთრი, ხოლო №11506 და №30269 საანაბრო ანგარიში, შესაბამისად 32191 მან. და 59297 მან. თანხით, ამ ცნობის თანახმად არ აღმოჩნდა რ. შ.-ის სახელზე გახსნილი (ს.ფ. 110).

მეორე კასატორმა – ე. გ.-ამ 1998 წლის 22 ივნისს მიმართა ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს სს „გ. ბ.“-ის ჩუღურეთის №3/29 ფილიალს მიმართ და მოითხოვა საკუთარ და ოჯახის წევრთა სახელზე შეტანილ ანაბრებზე რიცხული 184 836 საბჭოთა მანეთის ნაზღურება დაურიცხავი პროცენტებისა და ინდექსაციის გათვალისწინებით, სულ მოითხოვა 560000 აშშ დოლარის ანაზღაურება (ტ.1 ს.ფ. 1-2). მეორე მოპასუხის, საქართველოს პრეზიდენტის მიმართ კი კასატორი ითხოვდა „მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 18 დეკემბრის №716 ბრძანებულების ბათილად ცნობას, თავისი დანართებით.

თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 25 ივლისის განჩინებით საქმის წარმოება შეწყდა, როგორც სასამართლოს არაქვემდებარე (ს.ფ. 4-5 ტ.). 1999 წლის 1 თებერვალს სასამართლომ ხელმოკრედ განიხილა ე. გ.-ას სარჩელი ანაბრებზე რიცხული თანხის ანაზღაურების შესახებ, რაზეც უსაფუძვლობის გამო უარი ეთქვა, რაც გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 19 მარტის განჩინებით და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს, რომელმაც განსჯადობით საქმე განსახილველად ვაკის რაიონულ სასამართლოს გადასცა და ვაკის სასამართლომ კი 1999 წლის 28 მაისის განჩინებით საქმის მასალები განსახილველად გადაუგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიას (ს.ფ. 128, 135).

1998 წლის 4 მაისს მოსარჩელე ე. გ.-ამ საქართველოს პრეზიდენტის მიმართ კონსტიტუციური სარჩელი შეიტანა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში და მოითხოვა 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულების არაკონსტიტუციურად ცნობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ განიხილა კონსტიტუციური სარჩელი და 1999 წლის 21 ივნისის განჩინებით სასამართლო წარმოება შეწყვიტა სადავო ბრძანებულებაში არსებითი ხარისხის ცვლილებების შეტანის გამო (ტ. I 28-35; 147-149).

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ სს „გ. ბ.“-ის 2001 წლის 28 ივნისის №1-2/62-1235 ცნობის საფუძველზე დადგენილად ცნო, რომ ე. გ.-ას სს „გ. ბ.“-ის ფილიალებში ინდექსაციის გათვალისწინებით ერიცხებოდა ანაბრის შემდეგი თანხა:

1. ფოთის ფილიალი, ანგარიში №65390, ანაბარი - 0-11 ლარი, ინდექსაციის თანხა 6,24 ლარი;

2. გარდაბნის ფილიალი, ანგარიში №13807, ანაბარი – 0,10 ლარი, ინდექსაციის თანხა – 0,20 ლარი;

3. თბილისის დიდუბის ფილიალი (ყოფილი ჩუღურეთის შემნახველი ბანკი) ანგარიში №159101, ანაბარი- 0-13 ლარი, ინდექსაციის თანხა - 124-41 ლარი;

4. №-578259 ანგარიში განულებულია და ინდექსაციის თანხა შეადგენს 0,98 ლარს;

5. მთაწმინდის ფილიალი, ანგარიში №16466 ასევე განულებულია, ინდექსაციის თანხა – 7,33 ლარი.

სს „გ. ბ“-ის 2001 წლის 28 ივნისის №1-2/62-1235 ცნობის მიხედვით, ე. გ.-ას სახელზე გახსნილ ანგარიშზე სულ ირიცხება ინდექსაციის თანხა 139 ლარი და 56 თეთრი (ტ.2; ს.ფ. 17).

ანაბრების ინდექსაციის პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით შექმნილ სახელმწიფო კომისიის 1999 წლის სხდომის №3 საოქმო გადაწყვეტილებითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1999 წლის 27 სექტემბრის №213 ბრძანებით, გამონაკლისის სახით ინდექსაციის თანხა უნდა გადაცემულიყო 92 მენაბრეზე, მათ შორის რ. შ.-ზე №35 და ე. გ.-ზე №20, რაც მენაბრეთა მიზეზით არ შესრულდა (ს.ფ. 50-54,65).

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით, სს „გ. ბ“-ის №4-1-1-5-117/825 წერილის, საქართველოს მინისტრთა კაბინეტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 1993 წლის 24 ივლისის №575 დადგენილების „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონის ერთადერთ კანონიერ საგადასახდლო საშუალებად გამოცხადების შესახებ“ I და V პუნქტის, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის №363 ბრძანებულების „მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ლარის გამოშვების შესახებ“ I და მე-4 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულების „მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების შესახებ“ და „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის I პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელე რ. შ.-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა მის სასარგებლოდ 1 086 ლარისა და 43 თეთრის გადახდა (ს.ფ. 148-158), ხოლო ამავე კოლეგიის 2000 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსარჩელე ე. გ.-ას სასარგებლოდ დაეკისრა 139 ლარის და 56 თეთრის ანაზღაურება (ს.ფ. 95-205). თბილისის საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილებები გამოტანილისას იხელმძღვანელა შემდეგი ნორმატიული აქტებით:

ა) საქართველოს მინისტრთა კაბინეტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 1993 წლის 24 ივლისის №575 დადგენილების „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონის ერთადერთ კანონიერ საგადასახდლო საშუალებად გამოცხადების შესახებ“ I და V პუნქტის თანახმად, 1993 წლის 3 აგვისტოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადასახდლო საშუალებად გამოცხადდა კუპონი და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი ნაშთები, თანხის ოდენობის მიუხედავად, საბჭოთა მანეთიდან გადაყვანილ იქნა ეროვნული ბანკის კუპონზე, შეფარდებით 1:1;

ბ) საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის №363 ბრძანებულების „მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ლარის გამოშვების შესახებ“ I და მე-4 პუნქტის შესაბამისად, 1995 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთდერთ კანონიერ საგადასხდელო საშუალებად გამოცხადდა ეროვნული ვალუტა „ლარი“ და კუპონის ლარზე გადაცვლის კურსი განისაზღვრა შეფარდებით 1 000 000 კუპონი: 1 ლარი;

გ) საქართველოს მოსახლეობის მიერ საბჭოთა კავშირის შემნახველ საღაროებში შეტანილი ანაბრები დაექვემდებარა ინდექსაციას, რომლის განხორციელების მექანიზმი დადგინდა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულებით “მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების შესახებ”;

დ) „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის I პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და II პუნქტით, მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება სახელმწიფო ვალიდ იქნა აღიარებული, რომლის დაფარვა უნდა მომხდარიყო საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულების შესაბამისად (ს.ფ. 148-158).

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 16 მაისისა და 20 ივლისის გადაწყვეტილებები საკასაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელეთა მიერ, ისინი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე გადაწყვეტილებების გაუქმებასა და მათი სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას ითხოვენ იმ მოტივით, რომ სასამართლომ დავის გადაწყვეტისას არასწორად გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის №716 ბრძანებულება, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა (ს.ფ. 165- 173, 110-124).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორის საქმეთა პალატის 2000 წლის 15 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივები ერთ წარმოებად გაერთიანდა, ხოლო 2000 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა ე. გ.-ას შუამდლობა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის საფუძველზე №3გ/ად-106/114კ გაერთიანებულ საქმეზე შეჩერდა საკასაციო წარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში ე. გ.-ას კონსტიტუციური სარჩელის გადაწყვეტამდე, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულება, 1999 წლის 8 ივნისის №362 ბრძანებულებასთან ერთად და „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს I კოლეგიის 2001 წლის 13 იანვრის განჩინებით აღნიშნული სამართალწარმოება შეწყდა დავის საგნის არარსებობის გამო, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის №258 ბრძანებულებით „საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ ძალადაკარგულად ჩაითვალა სადავო ნორმატიული აქტები – საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის №716 და 1999 წლის №362 ბრძანებულება, რითაც იმავდროულად მოისპო „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის სადავო ნაწილის შინაარსიც (ს.ფ. ). საქართველოს უზენაესი

სასამართლოს 2001 წლის 24 ივლისის განჩინებით განახლდა საკასაციო წარმოება და საქმე განსახილველად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.

დიდ პალატაზე საკასაციო საჩივრის განხილვისას, კასატორ რ. შ.-ის წარმომადგენელმა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 16 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება, ვინაიდან სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის №716 ბრძანებულება, რომელიც უკვე ძალადაკარგულია და ხელახლა განსახილველად დაბრუნების გარეშე, დიდი პალატის მიერ სარჩელის დაკმაყოფილება. კერძოდ, ანაბარზე რიცხული, მისი კუთვნილი 226000 საბჭოთა მანეთის შესაბამისი 226000 ლარის რ. შ.-სათვის ანაზღაურება, მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე.

კასატორ ე. გ.-ას წარმომადგენელმაც ასევე მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაუბრუნებლად, სამოქალაქო კოდექსის 383-ე, 389-ე და 874-ე მუხლის საფუძველზე, 184 857 ლარის ანაბრის თანხის ანაზღაურების თაობაზე ე. გ.-ას სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი ე. გ. ნაწილობრივ არ დაეთანხმა თავის წარმომადგენელს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6, 21-ე, 38-ე, 367-ე, 368-ე, 371-ე, 389-ე, 427-ე, 434-ე, 623-ე, 859-ე, 998-ე და 1507-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა მისი საკუთრების, ანაბარზე რიცხული 956 536 აშშ დოლარის ანაზღაურება.

მოწინააღმდეგე მხარეთა – საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივრები არ ცნეს, უსაფუძველობის მოტივით მოითხოვეს მათ დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებების უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილებების კანონიერება-დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. შ.-ისა და ე. გ.-ას საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 16 მაისისა და 20 ივლისის გადაწყვეტილებები და საქმე არსებითად ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის) 103-ე და 389-ე მუხლების თანახმად, მოქალაქეთა შრომითი დანაზოგი, სახელმწიფო შრომით შემნახველ სალაროებსა და საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული ანაბრები და მათზე მოგების სახით დარიცხული პროცენტი წარმოადგენდა მოქალაქეთა პირად საკუთრებას, ხოლო სახელმწიფო უზრუნველყოფდა ანაბრების საიდუმლოებას, მათ დაცვასა და მეანაბრის პირველი მოთხოვნისთანავე გაცემას. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის I პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და II პუნქტით, მოსახლეობის მიერ ყოფილ

სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება სახელმწიფო ვალად იქნა აღიარებული, რომლის დაფარვა უნდა მომხდარიყო საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულების შესაბამისად.

„მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ № 716 ბრძანებულება სადავო ანაბრების ინდექსაცია - გაცემის მომწესრიგებელი ერთადერთი ნორმატიული აქტი იყო, ამიტომ თბილისის საოლქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა და შესაბამისად, განსახილველი საკასაციო საჩივრების ძირითადი მოტივიც ამ ბრძანებულების გამოყენების კანონიერებას ეხებოდა. „საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის №258 ბრძანებულებით ძალადაკარგულად ჩაითვალა №716 ბრძანებულება, რის გამოც კასატორებმა მოხსნეს საკასაციო საჩივრის აღნიშნული საფუძველი და დავის გადაწყვეტა მოითხოვეს მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარე. ამასთან, №258 ბრძანებულებით შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევალა საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე ნორმატიული აქტის შემუშავება.

თბილისის საოლქო სასამართლომ დავის უმთავრესი ფაქტობრივი გარემოების, კასატორთა ანაბრების ინდექსირებული თანხის, დადგენისას იხელმძღვანელა სს „გ. ბ.“-ის 2000 წლის 28 აპრილის №4-1-1-5-117/825 და 28 ივნისის №1-2/62-1235 ცნობებით, რომლებშიც ინდექსირებული თანხები უკვე ძალადაკარგული №716 ბრძანებულების საფუძველზეა დაანგარიშებული. ვინაიდან კასატორმა ე. გ.-ამ დიდ პალატაზე საქმის განხილვისას სადავოდ გახადა საოლქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, მის ანაბარზე რიცხული ინდექსირებული თანხის ოდენობა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლიდან გამომდინარე, დიდ პალატას ამ ეტაპზე შეუძლებლად მიაჩნია საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, რადგან საჭიროა საქმის ამ უმთავრესი ფაქტობრივი გარემოების, კასატორთა ანაბრებზე რიცხული ინდექსირებული თანხის, ზუსტი განსაზღვრა, რომლის მექანიზმსაც შეიმუშავებს პრეზიდენტის №258 ბრძანებულებით შექმნილი სამთავრობო კომისია. ამასთან, საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ უნდა მოხდეს კასატორთა ანაბრებზე რიცხული თანხების ხელახალი დაანგარიშება ე.ი. ფაქტობრივი გარემოებების ხელახალი გამოკვლევა-დადგენა, რაც სპეციალურ საფინანსო-ეკონომიურ ცოდნას მოითხოვს და საჭიროებს საქმეში ექსპერტის ან სპეციალისტის მოწვევას, რისი განხორციელებაც საკასაციო ინსტანციაში პროცესუალურად დაუშვებელია, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო პალატა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებებს ამოწმებს მხოლოდ კასაციის ფარგლებში, კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების თვალსაზრისით, ფაქტობრივი გარემოებების დადგენა კი უნდა განახორციელოს პირველი ინსტანციის სასამართლომ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი პალატა მიიჩნევს, რომ გაერთიანებულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა საკასაციო სასამართლოს მიერ შეუძლებელია, შესაბამისად საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის საოლქო

სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა გაუქმდეს და 412-ე მუხლის თანახმად, საქმე არსებითად ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

დიდმა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. რ. შ.-ისა და ე. გ.-ას საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 16 მაისისა და 20 ივლისის გადაწყვეტილებები და გაერთიანებული საქმე არსებითად ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. სახელმწიფო ბაჟისა და სასამართლო ხარჯების მხარეთათვის დაკისრების საკითხი გადაწყდეს გადაწყვეტილების გამოტანისას.
4. უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.